ააიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი"

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორული დასკვნა

შინაარსი

	გვერდი
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური ანგარიშგება:	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	4
საქმიანობის შედეგების ანგარიში	5
ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი	6
ფონდებში ცვლილების უწყისი	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	8

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

„საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

ჩვენ ჩავატარეთ „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მასთან დაკავშირებულ საქმიანობის შედეგების ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისს, ასევე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითადი პრინციპებისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოკლე მონახაზს.

ხელმძრვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პარლამენტთან არსებული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ გამოცემულ არასამეწარმეო იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებით სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე, ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევას, დანერგვას, შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს, აუდიტი დაიგეგმოს და ჩატარდეს იმგვარად, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნა

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს „საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის" ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებს 2014 წლის 31 დეკემბრისათვის და შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

აუდიტორულ-საკონსულტაციო ჯგუფი ACG
19 ნოემბერი 2015 წელი

ააიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

აქტივები	ახსნა-განმარტება	**31/12/2014**	**31/12/2013**
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1	815,413	452,840
მოთხოვნები მომსახურების მიწოდებიდან		476,153	404,012
გადახდილი ავანსები		23,618	3,842
მოკლევადიანი მოთხოვნები პერსონალთან		104	104
საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან	2	51,874	10,076
მატერიალური მარაგები		3,850	2,188
სულ მოკლევადიანი აქტივები		**1,371,013**	**873,062**
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	2,474,149	2,519,782
არამატერიალური აქტივები	3	45,490	43,492
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,519,639**	**2,563,273**
სულ აქტივები		**3,890,652**	**3,436,335**
ფონდები და ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები დონორების წინაშე	4	524,147	88,314
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		23,046	20,194
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**547,193**	**108,507**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	5	274,808	490,999
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**274,808**	**490,999**
ფონდები			
ფონდები		2,836,828	2,587,906
ცვლილება ფონდებში		231,822	248,922
სულ ფონდები		3,068,651	2,836,828
სულ ფონდები და კაპიტალი		**3,890,652**	**3,436,335**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ააიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი"
2014 წლის საქმიანობის შედეგების ანგარიში (ლარებში)

	ახსნა-განმარტება	**2014**	**2013**
საგრანტო შემოსავალი	*6*	1,301,772	2,197,690
შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან	*7*	3,746,014	2,936,088
სხვა საოპერაციო შემოსავალი		103,483	41,587
სულ შემოსავალი		**5,151,268**	**5,175,365**
საგრანტო ხარჯები	*8*	(1,301,772)	(2,197,690)
უმაღ. სკოლის საოპერაციო ხარჯები	*9*	(2,816,665)	(1,972,480)
ადმინისტრაციული ხარჯები	*10*	(675,992)	(429,368)
კომერციული ხაჯები		(5,526)	(4,604)
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	*11*	22,369	4,357
საპროცენტო ხარჯები		(51,754)	(70,833)
მოგება დაბეგვრამდე		**321,929**	**504,746**
მოგების გადასახადი		(37,942)	(56,446)
წმინდა მოგება/ზარალი		**283,987**	**448,300**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	2014	2013
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წმინდა მოგება დაბეგვრამდე და განსაკუთრებულ მუხლამდე	**321,929**	**504,746**
შესწორებები შემდეგი მუხლებისათვის:		
ცვეთა	193,463	138,800
ცვლილებები ფონდებში	(52,164)	(199,378)
საპროცენტო ხარჯები	51,754	70,833
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე	**514,981**	**515,000**
გადახდილი ავანსების ცვლილება	(19,776)	3,666
მყიდველებთან მოთხოვნების ცვლილება	(72,141)	(231,498)
საგადასახადო მოთხოვნების ცვლილება	(41,798)	(8,287)
სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ცვლილება	(1,662)	(1,697)
დონორებთან ვალდებულებების ცვლილება	435,834	225,694
მიმდინარე ვალდებულებების ცვლილება	2,852	2,842
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები	**303,308**	**(9,279)**
გადახდილი პროცენტები	(51,754)	(70,833)
მოგების გადასახადი	(37,942)	(56,446)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**728,593**	**378,442**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(147,830)	(227,978)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(1,998)	(9,643)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(149,828)**	**(237,621)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გრძელვადიანი სესხების ზრდა	(216,191)	(164,617)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(216,191)**	**(164,617)**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	**362,574**	**(23,796)**
ფულადი სახსრები საანგარიშ-გებო პერიოდის დასაწყისისათვის	**452,840**	**476,635**
ფულადი სახსრები საანგარიშ-გებო პერიოდის ბოლოსათვის	**815,413**	**452,840**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ააიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი"
ფონდებში ცვლილების უწყისი
2014 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	ფონდები	სულ ფონდები
ნაშთი 2014 წლის დასაწყისში	**2,836,828**	**2,587,906**
		-
შეზღუდული ფონდების ცვლილება	(52,164)	**(52,164)**
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	283,987	**283,987**
		-
სულ ფონდების ცვლილება	**231,822**	**231,822**
		-
ნაშთი 2014 წლის ბოლოს	**3,068,650**	**3,068,650**

მაკა იოსელიანი
აღმასრულებელი დირექტორი

ვასილ ქავთარაძე
მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური უწყისები მომზადებულია საქართველოს პარლამენტთან არსებული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის მიერ გამოცემულ არასამეწარმეო იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებით სტანდარტებს შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ბასს-ის ძირითად დაშვებებსა და პრინციპებს.
ორგანიზაციის საანგარიშგებო წელია კალენდარული წელი, 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაცია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ახლო მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.
დართული ფინანსური ანგარიშები მოცემულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ძირითად საანგარიშგებო ვალუტას. ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდება პირველადი დოკუმენტებიდან გამომდინარე განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე.
ორგანიზაცია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამა "ორისის" მეშვეობით.

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები მოიცავს ორგანიზაციის სალაროში და საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხულ თანხებს.

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტა, სავალუტო მოთხოვნები და ვალდებულებები მოცემულია საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტების მიმართ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 აშშ დოლარი	*1.8636 ლარი*
1 ევრო	*2.2656 ლარი*

მოთხოვნები და ვალდებულებები

ორგანიზაცია მოთხოვნებსა და ვალდებულებებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახავს ისტორიული ღირებულებით. ორგანიზაციას არ აქვს შემუშავებული საეჭვო მოთხოვნების შეფასება-აღრიცხვის რაიმე სისტემა და არ ქმნის საეჭვო მოთხოვნებისთვის რეზერვს.

მატერიალური მარაგები

ორგანიზაცია მატერიალურ მარაგებში აღრიცხავს ისეთ მატერიალურ აქტივებს, რომელებიც განკუთვნილია ორგანიზაციის საქმიანობის პროცესში მოხმარებისათვის, გასაყიდად ან სხვა მიზნებისათვის და მათი გამოყენება არ ხდება 1 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.
მატერიალური მარაგების თავდაპირველი ასახვა საბუღალტრო აღრიცხვაში ხდება თვითღირებულებით, რაც მოიცავს მათი შეძენის, ტრანსპორტირებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს, ხოლო ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

ძირითადი საშუალებები

<u>წარდგენის პრინციპები</u>

ძირითად საშუალებად მიიჩნევა აქტივი, რომლის სასარგებლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადა აღემატება ერთ წელს. საწყისი ისტორიული ღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურს, ამოუღებელ გადახდილ გადასახადებს და იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში გაშვებასთან.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნარჩენი ღირებულებით, ისტორიული ღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთა.

<u>ამორტიზაცია</u>

ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებას. ამორტიზაციის დარიცხვა წარმოებს წრფივი მეთოდით.

ორგანიზაციის მიერ გამოყენებული ცვეთის წლიური ნორმები თითოეულ ჯგუფში შემავალი ძირითადი საშუალებების მიმართ:

შენობები – 2%
მსუბუქი ავტომობილები – 14%
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი – 20%
კავშირგაბმულობის მოწყობილობები - 33%

გადასახადები

ორგანიზაცია ვალდებულია შეასრულოს საგადასახადო აგენტის ფუნქცია პერსონალის, გადასახადის გადამხდელად არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისა და საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული არარეზიდენტი პირების მიმართ, დაუკავოს მათ საშემოსავლო გადასახადი და გადაიხადოს ბიუჯეტში. აგრეთვე, ვალდებულია განახორციელოს დღგ-ის უკუდაბეგვრა საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესით.

ორგანიზაცია ვალდებულია გადაიხადოს მოგების გადასახადი მომსახურებისა და აქტივების რეალიზაციით მიღებული მოგებიდან 15% განაკვეთით. ასევე, ორგანიზაცია ვალდებულია ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე გადაიხადოს ქონების გადასახადი მისი საშუალო ნარჩენი საბალანსო ღირებულების 1%-დან - 3%-მდე ოდენობით.

შემოსავლები და ხარჯები

ორგანიზაციის შემოსავალი ძირითადად ყალიბდება დონორებისგან მიღებული გრანტებით და საგანმანათლებლო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია ეკონომიკური ელემენტების ან დანიშნულების მიხედვით.

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები აისახება დარიცხვის მეთოდით.

ზოგადი ინფორმაცია

"საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი" წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც დაკავებულია ეფექტური მმართველობის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობით საქართველოში. იგი დაარსდა და ფუნქციონირებს 1994 წლიდან. დაარსებისთანავე ინსტიტუტმა თავი მოუყარა ბიზნესის, მედიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საჯარო სამსახურის წარმომადგენლებს. ინტერაქტიული საგანმანათლებლო პროგრამების, კვლევებისა და ტრენინგების მეშვეობით ინსტიტუტმა თავისი წვლილი შეიტანა როგორც ეფექტური მმართველობის განვითარებაში სახელმწიფო, მუნიციპალურ და ადგილობრივ დონეზე საქართველოში, ასევე დამოუკიდებელი და სიცოცხლისუნარიანი მედიის ჩამოყალიბებაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი წარმოადგენს სახელმწიფო მართვისა და ჟურნალისტიკის სფეროების განვითარების ეროვნულ ცენტრს. მისი საგანმანათლებლო და სატრენინგო პროგრამები პასუხობს საჯარო მოსამსახურეების, ჟურნალისტებისა და მედია მენეჯერების მოთხოვნებს.

ზოგადი ინფორმაცია (გაგრძელება)

ინსტიტუტში ფუნქციონირებს ბაკალავრიატი, დოქტორატურა და სამი სამაგისტრო სკოლა:

- სახელმწიფო მმართველობის სკოლა
- ჟურნალისტიკისა და მედია მენეჯმენტის კავკასიური სკოლა
- სამართლისა და პოლიტიკის სკოლა

აგრეთვე, ინსტიტუტში ფუნქციონირებს "სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამა", რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად ახორციელებს უცხოური და ადგილობრივი დონორებისა და მთავრობების მიერ დაფინანსებულ საგრანტო პროგრამებს.

ინსტიტუტის განვითარების კონცეპტუალურ გეგმას და მის პოლიტიკას განსაზღვრავს მისი უმაღლესი მმართველი ორგანო – გამგეობა, რომელიც შედგება ქართველი და ამერიკელი საჯარო, სამთავრობო და აკადემიური წრეების წარმომადგენლებისაგან.
ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია ინსტიტუტის რექტორი, რომელსაც ნიშნავს გამგეობა.

ორგანიზაციის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ბროსეს ქ. #2.

1. ფულადი სახსრები

2014 წლის 31 დეკემბრისათვის ორგანიზაციას ფულადი სახსრები განთავსებულია "თი ბი სი ბანკში" და მოიცავს:

	31-12-14	**31-12-13**
ეროვნული ვალუტა ბანკში - GEL	700,730	273,909
უცხოური ვალუტა ბანკში - USD	105,127	176,230
უცხოური ვალუტა ბანკში - EUR	9,556	2,701
სულ	**815,413**	**452,840**

2. საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან

2014 წლის 31 დეკემბრისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ორგანიზაციის საგადასახადო ვალდებულებები და მოთხოვნები მოიცავს:

	31-12-14	**31-12-13**
მოგების გადასახადი	(20,167)	(52,225)
საშემოსავლო გადასახადი	27,821	9,428
დღგ	64,924	64,924
ქონების გადასახადი	(20,704)	(12,052)
სულ	**51,874**	**10,076**

3. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს 2014 წლის განმავლობაში ორგანიზაციის ძირითად საშუალებებში მომხდარ ცვლილებებსა და მათ სტრუქტურულ მდგომარეობას 31 დეკემბერისათვის:

აიპ "საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი"
ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები
2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

	შენობები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და ინვენტარი	კავშირგაბმულობის მოწყობილობები	კომპ ტექნიკა, ციფრული და პერიფერიული მოწყობილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	სხვა ძირითადი საშუალებები	**სულ**
ისტორიული ღირებულება										
ნაშთი 31.12.13	2,304,218	39,763	44,394	232,287	62,342	754,946	185,084	43,492	62,256	**3,728,782**
შემოსვლა	-	-	3,795	38,051	842	77,090	-	1,998	28,051	**149,828**
გასვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	**-**
ნაშთი	**2,304,218**	**39,763**	**48,189**	**270,338**	**63,185**	**832,037**	**185,084**	**45,490**	**90,308**	**3,878,610**
ამორტიზაცია										
ნაშთი 31.12.13	192,565	3,048	31,869	170,628	58,648	567,366	106,778	-	34,608	**1,165,509**
პერიოდის ცვეთა	46,084.37	795.26	4,193.56	28,454.42	2,761.78	74,794.34	26,440.52	-	9,938.29	**193,463**
გასული ძირ. საშ-ის ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	**-**
ნაშთი	**238,649**	**3,844**	**36,062**	**199,083**	**61,410**	**642,160**	**133,218**	**-**	**44,546**	**1,358,971**
ნარჩენი ღირებულება 31.12.13	**2,111,653**	**36,715**	**12,525**	**61,659**	**3,695**	**187,581**	**78,306**	**43,492**	**27,649**	**2,563,273**
ნარჩენი ღირებულება 31.12.14	**2,065,569**	**35,919**	**12,127**	**71,255**	**1,775**	**189,877**	**51,866**	**45,490**	**45,762**	**2,519,639**

4. ვალდებულებები დონორების წინაშე

2014 წლის 31 დეკემბრისათვის ორგანიზაციის ვალდებულებები და მოთხოვნები დონორების წინაშე მოიცავს:

	31-12-14	**31-12-13**
IREX	(739,968)	(530,430)
ააიპ მენეჯმენტ სისტემს ინთერნეიშენალ საქართველო	498,000	423,300
Europien Journalism Center	(198,162)	(198,162)
STICHTING EUROPEAN JOURNALISM CENTR	208,460	116,053
INTERNATIONAL RESEARCH EXCHANGE BO INC	289,715	(6,254)
USDA	121,158	134,950
ააიპ ივანე ჯავახიშვილის სახ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	118,002	45,246
AMERICAN EMBASSY	86,104	71,017
OSI	83,021	31,798
TEMPUS (EC)	(69,050)	(37,201)
'მერსი ქორფს"-ის წარმომადგენლობა საქ-ში	49,168	-
ააიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	21,135	7,495
ქართული ოცნება	7,880	7,880
OSTHAMMARS KOMMUN	10,616	3,340
კავშირი 'საერთაშორისო ასოციაცია კივიტას გეორგიკა'	5,312	5,312
ერთ. ანგ. ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო|	9,750	-
Chapman University	3,859	3,859
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ|	6,913	-
TROY UNIVERSITY	6,628	-
EDUCATION AND TRAINING INTERNATIONA L LTD	3,003	2,601
CALIFORNIA STATE FULLERTON	3,536	1,409
ზაზა დარასელის სახ. საქველმოქმედო ფონდი 'სიცოცხლე მშვენიერია'	(3,700)	215
University of Pennsylvania's (CGCS)	1,762	1,762
CENTRE OF COMPARATIVE COMMUNICATION STANHOPE CENTRE MEDIA	(1,760)	(1,760)
ისტ-უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტ, ინკ.-ის წარმომადგენლობა საქართველოში	558	2,673
UNDP	812	1,692
GEORGE MASON UNIVERSITY	1,236	1,236
ააიპ ფონდი "შტრიხტინგ გადავარჩინოთ ბავშვები ჰოლანდია'-ს საქართველოს ფილიალი	283	283
UNICEF-TBILISI	(124)	-
სულ:	**524,147**	**88,314**

5. ბანკის კრედიტები

გრძელვადიანი კრედიტები მოიცავს ბანკისგან მიღებულ ორ იპოთეკურ კრედიტს 300 000 აშშ დოლარის და 140 000 აშშ დოლარის ოდენობით.
საბანკო კრედიტი 300 000 აშშ დოლარის ოდენობით მიღებულია 2011 წლის ივნისის თვეში 13,5% წლიური საპროცენტო განაკვეთით. კრედიტის ვადა შეადგენს 6 წელს.
2012 წლის სექტემბერში ბანკისგან მიღებულია იპოთეკური კრედიტი 140 000 აშშ დოლარის ოდენობით. 13,5% წლიური საპროცენტო განაკვეთით. კრედიტის ვადა შეადგენს 3 წელს.

6. საგრანტო შემოსავალი

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის საგრანტო შემოსავალი:

	2014	**2013**
USDA	591,233	549,603
IREX	209,537	403,072
INTERNATIONAL RESEARCH EXCHANGE BO INC	-	458,270
OSI	14,263	230,956
AMERICAN EMBASSY	67,626	177,138
Europien Journalism Center	-	174,662
'მერსი ქორფს"-ის წარმომადგენლობა საქ-ში	147,510	-
STICHTING EUROPEAN JOURNALISM CENTR	135,606	-
TEMPUS (EC)	31,850	68,200
ისტ-უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტ, ინკ.-ის წარმომადგენლობა საქართველოში	31,334	35,071
ააიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	20,170	37,085
პოლიტიკური გაერთიანება 'ქართული ოცნება	-	27,120
CALIFORNIA STATE FULLERTON	12,079	8,506
Chapman University	-	15,936
ზაზა დარასელის სახ. საქველმოქმედო ფონდი 'სიცოცხლე მშვენიერია'	7,830	6,310
OSTHAMMARS KOMMUN	6,517	3,154
EDUCATION AND TRAINING INTERNATIONA L LTD	6,720	2,609
UNICEF-TBILISI	7,960	-
გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ|	6,124	-
UNDP	5,411	-
სულ:	**1,301,772**	**2,197,690**

7. შემოსავალი საგანმანათლებლო საქმიანობიდან

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის შემოსავლები საგანმანათლებლო საქმიანობიდან:

	2014	**2013**
მაგისტრატურისა და ბაკალავრიატის საფასური	3,466,590	2,434,538
სასერტიფიკატო კურსები	277,329	498,345
გამოცდის და გადაბარების საფასური	1,500	2,293
დიპლომები და მანტიები	595	525
წიგნების ღირებულება	-	387
სულ:	**3,746,014**	**2,936,088**

8. საგრანტო ხარჯები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის საგრანტო ხარჯები:

	2014	**2013**
USDA: 58-3148-0-133 VAD	442,377	126,235
# 493700.01-13-114 (MSI)	-	458,270
IREX: AID-114-10-00007	209,537	102,496
AID-114-10-00007(IREX 2)	-	300,576
USDA: 58-3148-0-133 VAD	-	265,440
GP1103/Georgia(3)	-	169,568
USDA: 58-3148-1-223	98,393	67,753
Mercy Corp budget	147,510	-
GP1103/Georgia(4)	132,499	-
TEMPUS	31,850	68,200
SAJ 200 12 GR 092	35,071	102
SAJ200-11-GR-074	4,424	81,517
GPR # 53077 Grant ID - 18784	-	73,089
USDA: 58-3148-1-268	29,267	34,949
VRB13151-001, OR2012-01793	14,263	45,588
OSI: 40020116	-	59,353
530345-TEMPUS-1-2012-1-GE-TEMPUS-JPHES	20,170	37,085
58-3148-1-259	-	53,473
ისტ-უესტ მენეჯმენტ ინსტიტუტ, ინკ.-ის წარმომადგენლობა საქართველოში:	13,896	35,071
GPR # 56694 Grant ID - 19285	-	48,410
SAJ 200 14 GR 063	31,011	-
პოლიტიკური გაერთიანება 'ქართული ოცნება	-	27,120
S-AM100-14-GR-260	17,558	-
EAST-WAST MANAGEMENT INSTITUTE (Grant No G 1107 UAG)	17,438	-
Chapman	-	15,936
SAJ200 13 GR 061	14,632	-

8. საგრანტო ხარჯი (გაგრძელება)

ზაზა დარასელის სახ. საქველმოქმედო ფონდი 'სიცოცხლე მშვენიერია'	7,830	6,310
GEOSTAT.58-3148-3-140	10,833	1,753
Summer School in Security - California Fullerton	12,079	-
S-GE800-14-GR-136	10,363	-
OSTHAMMARS KOMMUN	6,517	3,154
EDUCATION AND TRAINING INTERNATIONA L LTD	6,720	2,609
CALIFORNIA STATE FULLERTON	-	8,506
UNICEF	7,960	-
GTZ	6,124	-
Europien Journalism Center: GP1103/Georgia	-	5,094
OSI.JS.Frontline Café (3)	-	4,516
EURJC(Seminar Tbilisi)	3,107	-
UNFPA (2)	2,775	-
UNDP.(unfpa)	2,636	-
სულ:	**1,301,772**	**2,197,690**

9. სხვა საოპერაციო ხარჯები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის სხვა საოპერაციო ხარჯები:

	2014	**2013**
ხელფასი	2,281,468	1,543,736
ცვეთა და ამორტიზაცია	97,134	58,867
რემონტი	31,907	58,264
კომუნიკაციის ხარჯი	39,423	37,894
კომუნალური ხარჯი	32,728	34,625
მივლინება	24,113	35,394
ბეჭდვა და პოლიგრაფიული მომსახურება	24,954	33,597
წარმომადგენლობითი ხარჯი	16,128	12,675
საკანცელარიო ხარჯი	21,346	4,624
იჯარა	17,820	5,324
საწმენდი, სანიტარული და სხვა ოფისის ხარჯები	11,240	11,558
დაცვის ხარჯი	4,872	3,665
საწვავი	-	5,670
სპონსორობა და დაჯილდოვება	3,750	1,000
ბანკის საკომისიო	-	2,104
სხვადასხვა მცირეფასიანი მატერიალური ფასეულობები	56,406	15,669
სხვადასხვა მომსახურება	29,676	28,760
სხვა საოპერაციო ხარჯები	123,700	79,056
სულ:	**2,816,665**	**1,972,480**

10. ადმინისტრაციული ხარჯები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ადმინისტრაციული ხარჯები:

	2014	**2013**
შრომის ანაზღაურება	420,544	361,738
იჯარა	88,047	5,600
რემონტი	49,820	1,008
ცვეთა და ამორტიზაცია	19,805	20,758
სხვა საგადასახადო ხარჯი	20,653	16,061
კომუნალური ხარჯები	20,037	7,260
სხვა ხარჯები	21,112	4,681
საწვავი	9,907	4,380
სხვადასხვა სახის მომსახურება	10,793	1,362
კომუნიკაციის ხარჯები	7,525	3,413
საკანცელარიო ხარჯი	4,885	531
დაცვის მომსახურება	2,430	1,620
საწმენდი, სანიტარული და სხვა ოფისის ხარჯები	356	781
წარმომადგენლობითი ხარჯი	78	174
სულ:	**675,992**	**429,368**

11. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის სხვა არა საოპერაციო შემოსავლები:

	2014	**2013**
საპროცენტო შემოსავალი	10,640	-
მოგება კურსთა შორის სხვაობიდან	11,728	4,357
სულ:	**22,369**	**4,357**

12. სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის უცხოურ ვალუტაში გამოსახული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულების ცვალებადობის რისკი, გამოწვეული ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებებით. ორგანიზაციის ფინანსური პოზიცია და ფულადი ნაკადები ექვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის ზემოქმედებას, რადგან ორგანიზაციის ვალდებულებებისა და ფულადი სახსრების დიდი ნაწილი წარმოდგენილია უცხოურ ვალუტაში.

ორგანიზაციის მენეჯმენტი ცდილობს აკონტროლოს სავალუტო რისკი და უზრუნველყოს საკურსო ცვლილებით გამოწვეული დანაკარგების მინიმიზაცია.

13. პირობითი გარემოებები

საგადასახადო გარემო - ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულია საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, რომლის გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ესენია:

ა) საშემოსავლო გადასახადი - 20%;

ბ) მოგების გადასახადი - 15%;

გ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - 18%;

დ) აქციზი - აქციზური საქონლის წარმოებასა და იმპორტზე;

ე) იმპორტის გადასახადი.

ასევე, ადგილობრივი გადასახადია ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის დაწესება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით, ზღვრული განაკვეთების ფარგლებში, რომლის გადახდაც სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

ბიზნეს გარემო - უკანასკნელ წლებში საქართვლომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონიმიკური ცვლილებანი. როგორც ეს განვითარებადი ბაზარს ახასიათებს, საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც როგორც წესი არსებობს ბევრ მაღალგანვითარებულ ბიზნეს ბაზარზე. კანონები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ და ახდენენ გავლენას სამოქალაქო და ბიზნეს ურთიერთობებზე სწრაფად იცვლება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება და წინსვლა დიდადაა დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ისეთ ფაქტორებზე, რომელებიც ცდება ორგანიზაციის კონტროლის ფარგლებს.

2014 წლის ნოემბრამდე საქართველოს ეროვნული ვალუტის კურსი სტაბილური იყო აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში, თუმცა 2014 წლის ნოემბრიდან ლარმა გაუფასურება დაიწყო და დევალვაციამ 30%-იან ნიშნულს მიაღწია, რამაც უარყოფითად იმოქმედა ქვეყნის ბიზნეს გარემოს სტაბილურობაზე.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერიოდში აღინიშნება დადებითი ძვრები ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დასტაბილურების კუთხით, გრძელვადიანი პერსპექტივები საქართველოსთვის ეკონომიკურად გაურკვეველი რჩება. აქედან გამომდინარე, ორგანიზაციის აქტივები და ქმედებები შესაძლებელია აღმოჩნდეს რისკის ქვეშ, თუ პოლიტიკურ და ბიზნეს გარემოში არახელსაყრელი ცვლილებები მოხდა.

14. ფუნქციონირებადი საწარმო

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ გეგმავს ორგანიზაციის საქმიანობის შეწყვეტას ან საქმიანობის მასშტაბის არსებით შემცირებას. ასევე არ არსებობს სხვა რაიმე გარემოება რომელიც საეჭვოს გახდიდა ორგანიზაციის უნარს გააგრძელოს ფუნქციონირება უახლოეს მომავალში. შესაბამისად, ორგანიზაცია წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

15. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგების შედგენის შემდგომ პერიოდში არ ქონია ადგილი რაიმე ისეთ მოვლენას, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე და მოითხოვს მის კორექტირებას.

*****